სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №39

დ. ქედა 25.02 2019 წელი

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მერის ლევან გორგილაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გეპა" წარმოდგენილი დირექტორის გელა პატარაიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის ა პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. კომპიუტერის მარაგ-ნაწილების (CPV კოდი 30200000) შესყიდვა შემდგომში ,,საქონელი''.
1.2. მიმწოდებელი აწოდებს საქონელს, ხოლო შემსყიდველი იღებს საქონელს და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.
1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს – 4602 (ოთხიათასექვსასორი) ლარს.
2.2. საქონელის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. შემსყიდველის მიერ მიღებული საქონელის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მოწოდებული საქონელის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, შესაბამისი სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ესქპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს ექსპლუატაციაში შესვლიდან არანაკლებ 6 თვის განმავლობაში. ასეთი დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს წუნდებული საქონლის შეცვლას და განახორციელებს შეცვლასთან დაკავშირებულ ყველა მოქმედებას საკუთარი ძალებით და საშუალებებით, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
4.2.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.
4.3.საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიური მიწოდების შემდეგ.
4.4.საქონელის მიღება-ჩაბარებას განახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება.
4.5. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
4.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების განხორციელებისას.

ბ) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, სასაქონლო ზედნადების და შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, საქონელის მიწოდების დასრულებისთანავე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

6.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.2.ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

6.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.4. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს ან არაჯეროვნად ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

6.5. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.7.ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

6.8. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელშეკრულებო თანხის 3 %-ის ოდენობით.

7.2.შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0,02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

7.3.მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით საქონლის მოწოდების ვადების დარღვევისათვის მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ის

ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
7.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.5.ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
8.3. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. სხვა პირობები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
10.3. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
10.4. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან გონივრულ ვადაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
10.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს,
გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
10.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
10.7. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1.მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

11.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე.

„შემსყიდველი”:	„მიმწოდებელი”:
ქედის მუნიციპალიტეტი მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას #3 მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ანგ. № GE24NB0330100200165022 სკ 246762061 მერი ლევან გორგილაძე	შპს „ გეპა“ ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.№90/6 მიმღები ბანკი:ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ბანკის კოდი MIBGGE22 ანგ. ნომერი GE92PC0033600100053916 საიდ. კოდი 445506587; დირექტორი გელა პატარაია

დანართი #1

ფასების ცხრილი

#	დასახელება	ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	cd-r	კომპაქტური დისკი	ცალი	300	0.6	180
2	dvd-r	კომპაქტური დისკი	ცალი	50	0.8	40
3	მყარი დისკი 240 GB	ტიპი: SSD ინტერფეისი: sata, 6.0 gbit/s. მოცულობა 240 gb. ზომა 2,5"	ცალი	2	155	310
4	usb ფლეშ მეხსიერება	მეხსიერების მოცულობა: 32 GB ზომა: სტანდარტული კორპუსის მასალა: პლასტმასი ინტერფეისი: USB 3.0 / USB 2.0	ცალი	22	28	616
5	usb კაბელი	სიგრძე 1.5 მეტრი	ცალი	1	5	5
6	ვიდეო კარტა	ბარათის მეხსიერების ტიპი:DDR3, მონაცემთა გადაცემის სიხშირე: 128 bit, ტევადობა: 2 GB	ცალი	2	220	440
7	კლავიატურა	კავშირის ტიპი: სადენიანი, ინტეფეისი: USB, კაბელის სიგრძე: 1.5, ენა: ინგლისური / რუსული, ფერი: შავი.	ცალი	19	24	456
8	კომპიუტერის კვების ბლოკი	(კარგი ხარისხის)	ცალი	2	65	130
9	მაუსი	(კარგი ხარისხის)	ცალი	26	14	364
10	მეხსიერების ბარათი	ციფრული ფოტოაპარატისათვის 16 GB	ცალი	2	23	46
11	ციფრული ფოტოაპარატის მეხსიერების ბარათის წამკითხველი მოყობილობა	usb 2.0 card reader (სრული კომპლექტი)	ცალი	1	95	95
12	მონიტორი	დიაგონალი: 21.5 " Full HD მატრიცის რეაგირების დრო: 5 მწ სიკაშკაშე: 200 cd/m2 დინამიური კონტრასტულობა: 10 000 000:	ცალი	1	310	310
13	მყარი დისკი	500 gb (გარანტია 1 წელი)	ცალი	2	145	290
14	ოპერატიული მეხსიერება	4 გბ. DDR-3	ცალი	2	135	270
15	სისტემური ბლოკი	პროცესორი არანაკლებ „i3, 3.0GHz, ქულერი, მყარი დისკი 500GB 16MB 7200rpm SATA II; ოპერატიული 4 გბ.	ცალი	1	1050	1050
სულ:						4602

„შემსყიდველი”:
ქედის მუნიციპალიტეტი
მერი
ლევან გორგილაძე

„მიმწოდებელი”:
შპს „ გეპა“
დირექტორი
გელა პატარაია